

სს სილქნეტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

2015 წ.

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

3

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

4

მოგება ზარალის და სხვა მთლიანი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშგება

5

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

6

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

7

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით

8

KPMG	შპს KPMG Georgia საქართველო ქ. თბილისი, 0108 ბესიკის ქ. № 4 ბესიკის ბიზნეს ცენტრი; ტელეფონი: +995 322 93 5713; ფაქსი: +995 322 98 2276 ელ-ფოსტა www.kpmg.ge
-------------	---

დაამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს სილქნეტის
ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს სილქნეტის (“კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების (ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება/ზარალის და სხვა მთლიანი მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს დასრულებული წლისათვის, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ეს პასუხისმგებლობა მოიცავს იმგვარ შიდა კონტროლს, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების უნებლიედ ან განზრახ დაშვებული არსებით უზუსტობების გარეშე მომზადებას.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების განხორციელებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თანხებისა და განცხადებების შესახებ აუდიტური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მოსაზრებაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების

უნებლიედ ან განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე. რისკის ამგვარი შეფასებების განხორციელებისას, აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და სათანადოდ წარმოდგენისათვის შესაფერის შიდა კონტროლის სისტემას, იმ მიზნით, რომ დაგეგმოს იმგვარი აუდიტური პროცედურები, რომლებიც მიზანშეწონილია მოცემულ გარემოებებში და არა იმის გამო, რომ გამოთქვას მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად.

ჩვენი რწმენით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტური მტკიცებულება საკმარისი და სათანადოა აუდიტორული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა

ჩვენი აზრით თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგები ყველა თვალსაზრისით სამართლიანად წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის და მის ფინანსურ საქმიანობას, და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღნიშნული დროისათვის დასრულებული წლისათვის ფულადი სახსრების მოძრაობას.

შპს KPMG Georgia

2016 წლის 1 აგვისტო

/ ბეჭედი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება KPMG Georgia /

შპს KPMG Georgia, კომპანია, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG International Cooperative (“KPMG International”)- თან აფილირებული დამოუკიდებელი წევრი ფირმების KPMG--ის ქსელის წევრი ფირმა.

“000 ლარი	შენიშვნა	2015	2014
აქტივები			
არამიმდინარე აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	179,267	182,630
არამატერიალური აქტივები	11	13,755	14,256
სხვა მიმდინარე აქტივები	10	15,278	12,190
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	19	1,473	64,890
სულ არამიმდინარე აქტივები		209,773	274,966
მიმდინარე აქტივები			
მატერიალურ-საწარმოო მარაგები		9,301	11,650
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		-	13
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		1,837	723
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	12	18,432	18,811
ფული და ფულის ექვივალენტები	13	5,487	638
სულ მიმდინარე აქტივები		35,057	31,835
სულ აქტივები			
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	14		
სააქციო კაპიტალი		68,172	164,172
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)		4,052	(4,390)
კომპანიის მფლობელებთან დაკავშირებული კაპიტალი		72,224	159,782
არასაკონტროლო წილი		(58)	526
სულ კაპიტალი		72,166	160,308
ვალდებულებები			
არამიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და სასესხო სახსრები	15	82,205	71,513
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	16	20,863	4,207
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	9	15,698	17,205
სულ არამიმდინარე ვალდებულებები		118,766	92,925
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და სასესხო სახსრები	15	16,348	12,375
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	16	37,550	40,193
სულ მიმდინარე ვალდებულებები		53,898	52,568
სულ ვალდებულებები		172,664	145,493
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		244,830	305,801

ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება უნდა განისაზღვროს შენიშვნების შესაბამისად და ქმნის 8-33 გვერდებზე მითითებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ნაწილს.

'000 ლარი	შენიშვნა	2015	2014
შემოსავლები		159,989	253,363
შესყიდული მომსახურებები		(41,753)	(47,026)
ხელფასები და სარგებელი	10	(37,936)	(37,753)
ცვეთა და ამორტიზაცია		(32,702)	(26,805)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(24,403)	(19,439)
სხვა ხარჯები		(1,088)	(2,523)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		22,107	19,817
საპროცენტო შემოსავალი		13,163	6,820
საპროცენტო ხარჯი		(11,158)	(8,211)
უცხოური ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალი		(5,028)	(416)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		19,084	18,010
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(3,833)	(4,284)
მოგება და საერთო მთლიანი მოგება წლის განმავლობაში		15,251	13,726
მოგება და საერთო მთლიანი მოგება დაკავშირებული:			
კომპანიის მფლობელებთან		15,835	13,802
არასაკონტროლო წილი		(584)	(76)
		15,251	13,726

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა ხელმძღვანელობამ 2016 წლის 1 აგვისტოს და ხელმოწერილია მისი სახელით:

----- /ხელმოწერილია/ დავით მამულაიშვილი გენერალური დირექტორი	----- /ხელმოწერილია/ ბაია ფშავლიშვილი ფინანსური დირექტორი
--	---

მოგების და ზარალის და სხვა მთლიანი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშგება უნდა განისაზღვროს შენიშვნების შესაბამისად და ქმნის 8-33 გვერდებზე მითითებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ნაწილს.

‘000 ლარი

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	სულ	არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრისთვის	164,172	(15,765)	148,407	-	148,407
სულ მთლიანი მოგება წლის განმავლობაში					
მოგება წილის განმავლობაში	-	13,802	13,802	(76)	13,726
გარიგებები მფლობელებთან, აღრიცხული პირდაპირ კაპიტალში					
დივიდენდები კაპიტალის მფლობელებისთვის (შენიშვნა 14 (ა))	-	(2,427)	(2,427)	-	(2,427)
არასაკონტროლო წილის მქონე შვილობილი კომპანიების შექმნა	-	-	-	602	602
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	164,172	(4,390)	159,782	526	160,308
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრისთვის	164,172	(4,390)	159,782	526	160,308
სულ მთლიანი მოგება წლის განმავლობაში					
მოგება წილის განმავლობაში	-	15,835	15,835	95840	15.251
გარიგებები მფლობელებთან, აღრიცხული პირდაპირ კაპიტალში					
დივიდენდები კაპიტალის მფლობელებისთვის (შენიშვნა 14 (ა))	-	(7,393)	(7,393)	-	(7,393)
სააქციო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 14 (ა))	(96,000)	-	(96,000)	-	(96,000)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	68,172	4,052	72,224	(58)	72,166

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება უნდა განისაზღვროს შენიშვნების შესაბამისად და ქმნის 8-33 გვერდებზე მითითებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ნაწილს.

შენიშვნა	2015	2014	
ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობებიდან			
ხელმოძღვრებიდან მიღებული ფულადი სახსრები		162,070	140,828
სხვა ტელეკომის ოპერატორებისგან მიღებული ფულადი სახსრები და IRU კონტრაქტებისთვის		33,674	17,805
ხელფასები და სარგებელი, გადახდილი თანამშრომლებისთვის და მათი სახელით		(35,450)	(37,416)
ურთიერთკავშირის მოსაკრებლები და გადახდილი ხარჯები		(18,197)	(21,301)
მატერიალურ საწარმოო მარაგების შესყიდვა		(2,904)	(11,142)
გადახდილი გადასახადების მოგების გადასახადის გარდა		(26,775)	(22,840)
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,188)	(6,642)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(39,010)	(32,241)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		69,220	35,051
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(26,694)	(32,560)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(8,813)	(7,097)
ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები		2,012	4,606
შვილობილი კომპანიების შეძენა, ფულადი სახსრების გარეშე.		(7,791)	(3,003)
სესხების გაცემა		(9,060)	(418)
გაცემული სესხების დაფარვა		8,897	-
მიღებული პროცენტი		29	-
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(41,420)	(38,472)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან			
სასესხო სახსრებიდან მიღებული შემოსავლები		38,269	46,728
სასესხო სახსრების დაბრუნება		(44,474)	(39,243)
გადახდილი პროცენტი		(10,366)	(8,005)
გადახდილი დივიდენდები		(6,325)	(2,837)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(22,896)	(3,357)
გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგი ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		(55)	(128)
წმინდა ზრდა/ (კლება) ფულში და ფულად ექვივალენტებში		4,849	(6,906)
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის დასაწყისში	13	638	7,544
ფული და ფულადი ექვივალენტები წლის ბოლოს	13	5,487	638

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება უნდა განისაზღვროს შენიშვნების შესაბამისად და ქმნის 8-33 გვერდებზე მითითებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ნაწილს.

1. საანგარიშგებო ორგანიზაცია

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება როგორც განვითარებადი ბაზარი. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები ჯერ კიდევ ვითარდება და ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და ფინანსურ დაბრკოლებებთან ერთად ხელს უწყობს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ასახავს ჯგუფის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს სს სილქნეტის (კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს, რომელიც დეტალურად არის აღწერილი 20 შენიშვნაში (ერთდ წოდებული ჯგუფი და ცალკე ჯგუფში შემავალი საწარმოები). კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები არის შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებები, როგორც განსაზღვრულია მეწამეთა შესახებ საქართველოს კანონით და რეგისტრირებული და დომიცილირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0112, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა #95.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა კორპორატიული და ინდივიდუალური კლიენტებისთვის საქართველოში, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებების, ინტერნეტის და ინტერნეტ-ტელევიზიის მომსახურებების გაწევა და მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებების ლიზინგი.

2014 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გამოსაცემად დაშვების დღეს, კომპანია მთლიანად არის Rhinestream Holdings Limited-ის საკუთრებაში და საბოლოოდ აკონტროლებს ფიზიკური პირი - გიორგი რამიშვილი. დაკავშირებული მხარეების გარიგებები დეტალურად მითითებულია 19 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (“ფასს”) სრულ შესაბამისობაში.

3. ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი (ლარი), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების მოქმედ ვალუტას და ვალუტას, რომელშიც გამოსახულია აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, “ფასს“-ის შესაბამისად, მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთი შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა ხორციელდება მუდმივად. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში: 22(ზ) (iii) - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ხელმძღვანელობის დასკვნით არ გამოვლენილა რაიმე დაშვებების ან შეფასებების გაურკვევლობა, რომლებსაც გააჩნიათ მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში კორექტირების არსებითი რისკი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: დონე

- დონე 1: კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეშიშემავალი კოტირებული ფასებისა, რომლებიც მოიპოვება აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებით, პირდაპირ (ე.ი. ფასები), ან ირიბად (ე.ი. ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანბი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასების დაშვების შესახებ მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 17 (ა) – ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება;
- შენიშვნა 20(ა) - შპს Georgia Media Network და შპს VTEL Georgia იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება შეძენის დღეს.

5. შემოსავლები

‘000 ლარი	2015	2014
ინტერნეტ მომსახურება	76,509	65,497
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	32,333	36,866
ინტერნეტ ტელევიზია	27,824	18,169
საიჯარო მომსახურება	9,769	9,956
მიერთების მომსახურება	8,567	16,085
უსადენო ტელეფონის („CDMA*“) მომსახურება	4,964	6,692
სხვა	23	98
სულ შემოსავლები	159,989	153,363

* კოდური დაყოფით მრავლობითი შეღწევის ტექნოლოგია ხელს უწყობს ჯგუფის უსადენო სატელეფონო მომსახურებებს.

6. შესყიდული მომსახურებები

‘000 ლარი	2015	2014
IPTV კონტენტის ღირებულება	9,658	8,312
თავისუფალი ინტერნეტ არხის ხარჯები	9,363	6,909
ინტერნეტ მომსახურების ხარჯები	4,916	4,709
მიერთების მოსაკრებელი	4,164	15,528
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	3,900	4,696
სარეკლამო ხარჯები	3,692	2,638
კომუნალური ხარჯები	2,972	2,783
პროფესიული საქმიანობის ანაზღაურება	2,948	1,363
სხვა	140	88
სულ შესყიდული მომსახურებები	41,753	47,026

7. ხელფასები და სარგებელი

'000 ლარი	2015	2014
ხელფასები	32,545	33,679
პრემიები	4,494	3,143
თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევა	535	633
სხვა	362	298
სულ ხელფასები და სარგებელი	37,936	37,753

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2015	2014
ქსელის ტექნიკური მომსახურების ხარჯი	6,945	3,195
საოპერაციო იჯარის ხარჯები	3,532	3,932
გადასახადების, მოგების გადასახადის გარდა	1,896	2,057
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი (იხილეთ შენიშვნა 17(ბ)(ii))	1,710	1,868
უსადენო მოწყობილობების ხარჯი	1,702	682
დაცვის ხარჯები	1,226	1,219
რეგულირების მოსაკრებელი	1,176	1,123
სახარჯი მასალები	909	586
სამივლინებო ხარჯები	903	408
საქველმოქმედო ხარჯები	835	969
საკომისიო ფულად შემოსავლებზე	706	697
საბანკო მოსაკრებლები და ხარჯები	613	668
მოხმარებული საწვავი და საზეთი მასალები	547	679
სატრანსპორტო ხარჯები.	463	667
სხვა	1,240	689
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	24,403	19,439

2015 წელს ჯგუფმა დაასრულა რამდენიმე ოპერაციის პროდუქტი, მათ შორის ქსელის რემონტი და აბონენტის ინსტალაცია, შპს ServiceNet-თან. შედეგად დაახლოებით 1260 ტექნიკურმა პერსონალმა დატოვა კომპანია.

კონტრაქტი შპს ServiceNet-თან მოიცავს წლიურ მოსაკრებელს, რომელიც შეადგენს დაახლოებით 17,000 ათას ლარს, ათი პროცენტი ცვლადი კომპონენტით. შპს ServiceNet უკვე დაიწყო მომსახურების გაწევა სხვა კლიენტებისთვის გრძელვადიანი კონტრაქტების და მომსახურების დონის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც მის შემოსავლებს უფრო სტაბილურს გახდის. აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელო თვლის, რომ სს სილქნეტი შეძლებს მოლაპარაკების წარმოებას საკონტრაქტო მოსაკრებელთან დაკავშირებით და მიაღწევს მინიმუმ 5% ხარჯის ეკონომიას ზემოხსენებული ოპერაციებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ შპს ServiceNet დაარღვევს საკონტრაქტო ვალდებულებებს სს სილქნეტის და შპს ServiceNet-ს აქციონერებს შორის გაფორმებული აქციონერთა ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფის აქციონერებს ექნება შპს ServiceNet-ის შეძენის საშუალება.

9. დაბეგვრა

ჯგუფის მოქმედი საგადასახადო განაკვეთი არის მოგების საგადასახადო განაკვეთი, რომელიც შეადგენს 15%-ს (2014 წ: 15%).

'000 ლარი	2015	2014
მიმდინარე წელი	780	2,257
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	780	2,257
დროებითი სხვაობების წარმოშობა და შეცვლა	3,053	2,027
გადავადებული საგადასახადო ხარჯი	3,053	2,027
მოგების გადასახადი წლის განმავლობაში	3,833	4,284

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2015		2014	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
მოგება მოგების გადასახადამდე	19,084	100	18,010	100
გადასახადი მოქმედი ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთით	2,863	15	2,702	15
არადაქვითვადი ხარჯები	970	5	1,582	9
	3,833	20	4,284	24

(ა) დროებითი სხვაობების დინამიკა წლის განმავლობაში

‘000 ლარი	2015 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება/ზარალი	გათვალისწინებული ბიზნეს გაერთიანებებში	2015 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	(20,717)	(437)	962	(20,192)
არამატერიალური აქტივები	151	288	-	439
სვაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,874	323	-	2,197
მშობელი კომპანიის სესხი	281	(359)	-	(78)
მატერიალურ საწარმოო მარაგები	601	(117)	-	484
სვაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	535	632	-	1,167
ფული და ფულის ექვივალენტები	70	-	-	70
მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი	-	(3,383)	3,598	215
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები	3,512	(3,500)	4,560	4,572
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(20,717)	447	-	(20,270)
წმინდა გადავადებული ვალდებულება	(17,205)	(3,053)	4,560	(15,698)

‘000 ლარი	2014 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება/ზარალი	გათვალისწინებული ბიზნეს გაერთიანებებში	2014 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	(18,662)	(1,919)	(136)	(20,717)
არამატერიალური აქტივები	(51)	202	-	151
სხვა არამიმდინარე აქტივები	9930	93	-	-
სვაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	1,573	301	-	1,874
მშობელი კომპანიის სესხი	107	174	-	281
მატერიალურ საწარმოო მარაგები	122	479	-	601
სვაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,892	(1,357)	-	535
ფული და ფულის ექვივალენტები	70	-	-	70
აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები	3,764	(252)	-	3,512
აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(18,806)	(1,775)	(136)	(20,717)
წმინდა გადავადებული ვალდებულება	(15,042)	(2,027)	(136)	(17,205)

10. ძირითადი საშუალებები და სხვა არამიმდინარე აქტივები

'000 ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	არმატურა და ფიტინგი	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ხარჯი 2014 წლის 1 იანვარს	23,501	106,005	105,214	3,634	10,705	42	249,101
დაგროვილი ცვეთა	-	(25,476)	(39,991)	(2,540)	(4,547)	-	(72,554)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 1 იანვარს	23,501	80,529	65,223	1,094	6,158	42	176,547
დანამატები	-	-	11,572	-	1,228	18,221	31,021
გასხვისებები	(1,707)	(2,928)	(3,063)	(88)	(86)	-	(7,872)
გადარიცხვები და სხვა	60	3,540	10,642	305	414	(16,018)	(1,057)
ცვეთის დანარიცხვები	-	1,325	1,095	41	39	-	2,500
საამორტიზაციო დანარიცხვები	-	(2,152)	(14,938)	(979)	(2,659)	-	(20,728)
შესყიდვები ბიზნეს გაერთიანებებით	-	-	1,830	-	389	-	2,219
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბერს	21,854	80,314	72,361	373	5,483	2,245	182,630
ხარჯი 2014 წლის 31 დეკემბერს	21,854	106,617	126,195	3,851	12,650	2,245	273,412
დაგროვილი ცვეთა	-	(26,303)	(53,834)	(3,478)	(7,167)	-	(90,782)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბერს	21,854	80,314	72,361	373	5,483	2,245	182,630
დანამატები	-	-	10,896	94	507	13,647	25,144
გასხვისებები	(345)	(1,516)	(5,939)	(247)	(1,067)	-	(9,114)
გადარიცხვები და სხვა	-	2,481	11,424	240	323	(15,844)	(1,376)
ცვეთის დანარიცხვები	-	315	3,870	145	809	-	5,139
საამორტიზაციო დანარიცხვები	-	(2,188)	(19,441)	(494)	(2,657)	-	(24,780)
შესყიდვები ბიზნეს გაერთიანებებით	-	-	1,590	19	15	-	1,624
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	21,509	79,406	74,761	130	3,413	48	179,267
ხარჯი 2014 წლის 31 დეკემბერს	21,509	107,582	144,166	3,957	12,428	48	289,690
დაგროვილი ცვეთა	-	(28,176)	(69,405)	(3,827)	(9,015)	-	(110,423)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	21,509	79,406	74,761	130	3,413	48	179,267

უზრუნველყოფა

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულებით 177,306 ათასი ლარი (2014: 180,541 ათასი), დაგირავებულია უზრუნველყოფილი საბანკო სესხებით (შენიშვნა 15).

სხვა არამიმდინარე აქტივები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა არამიმდინარე აქტივები მოიცავს დამონტაჟებულ მოწყობილობას - 13,771 ათასი ლარი და არამიმდინარე აქტივების წინასწარ გადახდებს - 1,403 ათასი ლარი (2014: დამონტაჟებული მოწყობილობა - 9,197 ათასი ლარი და არამიმდინარე აქტივების წინასწარ გადახდებს - 1,991 ათასი ლარი).

11. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	ტელეკომის საქმიანობის ლიცენზიები	სამაუწყებლო ლიცენზიები	გუდვილი (შენიშვნა 20 (ა))	სულ
ხარჯი 2014 წლის 1 იანვარს	8,402	17,770	3,962	-	30,134
დაგროვილი ცვეთა	(5,214)	(11,380)	(532)	-	(17,126)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 1 იანვარს	3,188	6,390	3,430	-	13,008
შემენები ბიზნეს გაერთიანებების მეშვეობით	-	-	2,034	2,685	4,719
დანამატები	375	1,804	427	-	2,606
საამორტიზაციო ანარიცხები	(1,048)	(3,009)	(2,020)	-	(6,077)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბერს	2,515	5,185	3,871	2,685	14,256
ხარჯი 2014 წლის 31 დეკემბერს	8,777	19,574	6,423	2,685	37,459
დაგროვილი ცვეთა	(6,262)	(14,389)	(2,552)	-	(23,203)
საბალანსო ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბერს	2,515	5,185	3,871	2,685	14,256
შემენები ბიზნეს გაერთიანებების მეშვეობით	-	661	205	209	1,075
დანამატები	2,006	848	3,492	-	6,346
საამორტიზაციო ანარიცხები	(1,097)	(3,159)	(3,666)	-	(7,922)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	3,424	3,535	3,902	2,894	13,755
ხარჯი 2015 წლის 31 დეკემბერს	10,783	21,083	10,120	2,894	44,880
დაგროვილი ცვეთა	(7,359)	(17,548)	(6,218)	-	(31,125)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბერს	3,424	3,535	3,902	2,894	13,755

საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით და უმნიშვნელოვანესი ლიცენზიების მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღები:

ლიცენზია N და ტექნოლოგია	(RF) სპექტრი	ვადის ამოწურვის თარიღი	2015 წლის 31 დეკემბერი '000 ლარი	2014 წლის 31 დეკემბერი '000 ლარი
F11 (CDMA)	827,955 MHz – 831,645 MHz	2016 წ. ივლისი	452	1,262
F11 (CDMA)	872,955 MHz – 876,645 MHz	2016 წ. ივლისი	452	1,262
F48 (LTE*)	2,299 MHz – 2,350 MHz	2016 წ. მაისი	358	-
F53 (LTE)	2,300 MHz - 2,350 MHz	2017 წ. იანვარი	303	-
F68 (LTE)	2,350 MHz - 2,382 MHz	2017 წ. იანვარი	243	474
F661 (LTE)	2,350 MHz - 2,382 MHz	2016 წ. მაისი	132	512
F64 (LTE)	2,350 MHz - 2,400 MHz	2016 წლის აგვისტო	56	148
			1,996	3,658

* გრძელვადიანი განვითარების ტექნოლოგია

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

'000 ლარი	2015	2014
დებიტორული დავალიანებები კლიენტებისგან	11,346	10,405
დებიტორული დავალიანებები ტელეკომის ოპერატორებისგან	1,944	3,260
სხვა დებიტორული დავალიანებები	2,618	914
სულ დებიტორული დავალიანებები	15,908	14,579
წინასწარ გადახდილი ხარჯები	2,182	1,960
წინასწარ გადახდილი გადასახადები	342	2,272
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	18,432	18,811

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკებისადმი, ასევე სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

'000 ლარი	2015	2014
საბანკო ნაშთები	4,017	454
გაგზავნილი ფულადი სახსრები	162	184
შეზღუდული ფულადი სახსრები	1,308	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	5,487	638

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 308 ათასი ლარის ოდენობის საბალანსო ღირებულების მქონე საბანკო ბალანსები დაგირავებულ იქნა ჯგუფის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების უზრუნველყოფის სახით.

ჯგუფის მიდრეკილება საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

14. კაპიტალი.

(ა) სააქციო კაპიტალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და აქვთ ერთ აქციაზე ერთი ხმის უფლება კომპანიის კრებებზე. 2014 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი დაირავდა უზრუნველყოფილი საბანკო სესხებით (იხილეთ შენიშვნა 15).

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2015	2014
გამოსაშვები 1 იანვარს	164,171,901	164,171,901
დაკავშირებული მხარეების სესხებში ჩათვლა (იხილეთ შენიშვნა 19(გ))	(96,000,000)	-
გამოსაშვები 1 იანვარს, სრულად გადახდილი	68,171,901	164,171,901
საწესდებო კაპიტალი - ნომინალური ღირებულება	1	1

2015 წელს აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის სააქციო კაპიტალის 96,000 ათასი ლარით შემცირების შესახებ. კაპიტალის შემცირებით წარმოქმნილი გადასახდელი თანხა ჩაითვალა მშბელი კომპანიის დავალიანებაში (იხილეთ შენიშვნა 19 (გ)).

2015 წელს კომპანიამ გამოცხადა დივიდენდები, 7,393 ათასი ლარი თავისი აქციონერისთვის (2014: 2,427 ათასი ლარი). ეს წარმოადგენდა დივიდენდს 0.05 ლარის ოდენობით თითოეულ აქციაზე (2014: 0.01 აქციაზე).

(ბ) კაპიტალის მართვა

ჯგუფს კაპიტალის მართვას ახორციელებს ეფექტური ფულადი სახსრების მართვის, ჯგუფის შემოსავლებისა და გასავლების მუდმივი მონიტორინგის და ძირითადად გრძელვადიანი სესხებისა და სასესხო სახსრებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების, მეშვეობით. ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს საკმარისი კაპიტალის საფუძველი ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეების ნდობის შესანარჩუნებლად. .

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონდა კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, თუმცა 2016 წლის 15 ივლისს შეიცვალა კომპანიის წესდება და შემოღებულ იქნა შეზღუდვები დივიდენდის განაწილებაზე და გარიგებებზე დაკავშირებულ მხარეებთან.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. არც კომპანია და არც მისი რომელიმე შვილობილი კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

15. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნა ითვალისწინებს ინფორმაციას ჯგუფის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით. ჯგუფის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ მე-17 შენიშვნა.

'000 ლარი	2015	2014
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები - არამიმდინარე	82,205	71,513
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები - მიმდინარე	16,348	12,375
	98,553	83,888

(ა) ვადები და ვალის დაფარვის განრიგი

გადასახდელი სესხების ვადები და პირობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	გადახდის წელი	2015 წლის 31 დეკემბერი	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	14-15%	2016	2,203	2,203
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	13-14%	2021	5,901	5,901
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	10-11%	2021	90,449	90,449
სულ სესხები და კრედიტები				98,553	98,553

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	გადახდის წელი	2014 წლის 31 დეკემბერი	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	13-14%	2015	2,892	2,892
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	ლარი	13-14%	2021	6,598	6,598
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	აშშ დოლარი	10-11%	2021	74,398	74,398
სულ სესხები და კრედიტები				83,888	83,888

2014 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანის სააქციო კაპიტალით, მატერიალურ საწარმოო მარაგებით და ძირითადი საშუალებებით.

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

'000 ლარი	2015		2014	
	არამიმდინარე	მიმდინარე	არამიმდინარე	მიმდინარე
დავალიანებები მომწოდებლების წინაშე	-	13,403	-	11,570
გადასახდელი არამიმდინარე აქტივებისთვის	-	9,367	-	4,905
გადასახდელი ლიცენზიებისთვის	1,479	2,427	1,745	3,419
დავალიანებები ოპერატორების წინაშე	-	1,528	-	3,751
საგდასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	-	906	-	3,549
IRU კონტრაქტებით მიღებული ავანსები	17,401	2,102	-	5,285
ხელმოწერების მეშვეობით მიღებული ავანსები	-	1,345	-	1,270
გადავადებული შემოსავალი	1,983	2,788	2,462	2,995
გადასახდელი დივიდენდები	-	1,068	-	-
გადასახდლები თანამშრომლებისთვის	-	1,776	-	819
სხვა დავალიანებები	-	840	-	2,630
სულ სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებები	20,863	37,550	4,207	40,193

ჯგუფის მიდრეკილება ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკისადმი და მგრძობელობის ანალიზი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

17. სამართლიანი ღირებულება და ფინანსური რისკის მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვეველობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სისტემა

ხელმძღვანელობას აკისრია ჯგუფის რისკების მართვის სისტემის განსაზღვრისა და მიმოხილვის პასუხისმგებლობა და ასევე პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე და აქციონერებისთვის საქმიანობების შესახებ რეგულარულ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის რისკების მართვის მეთოდები განისაზღვრება ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და კონტროლის დადგენისა და რისკების მონიტორინგისა და საზღვრების დაცვის მიზნით. რისკების მართვის მეთოდები და სისტემები განიხილება რეგულარულად საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებისა და ჯგუფის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ასახვის მიზნით. ჯგუფი, მისი სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების საშუალებით, მიზნად ისახავს დისციპლინირებული და კონსტრუქციული მართვის გარემოს შემუშავებას, სადაც ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ექნება მისი როლი და ვალდებულებები.

აქციონერი განიხილავს როგორ ახორციელებს ხელმძღვანელობა რისკების მართვის პოლიტიკასთან და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას ჯგუფის რისკებთან დაკავშირებით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის მიმართ წარმოშობილ ფინანსურ ზარალს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და წარმოიშვება ძირითადად ჯგუფის მიერ მომხმარებლებისგან მისაღები თანხებიდან და საბანკო ბალანსებიდან.

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, 2015 წ.

აღიარებული ფინანსური აქტივების და არაღიარებული ვალდებულებების მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ანგარიშგების თრიალისთვის იყო შემდეგი:

‘000 ლარი	2015	2014
დებიტორული დავალიანებები	15,908	14,579
დაკავშირებული მხარეების სესხები	1,473	64,903
ფული და ფულსი ექვივალენტები	5,487	638
აღიარებული ფინანსური აქტივები	22,868	80,120
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები (შენიშვნა 18(გ)).	20,022	-

სასესხო დებიტორული დავალიანებები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი მნიშვნელოვნად არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს სასესხო დავალიანებებიდან, რადგან სესხები გაცემულია მშობელი კომპანიისთვის (იხილეთ შენიშვნა 19 (გ)), არ არის გადავადებული და არც გაუფასურებული და სრულად არის ჩათვლილი გამოცხადებულ დივიდენდებში 2016 წელს (იხილეთ შენიშვნა 24).

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

ჯგუფის დაუცველობაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის კლიენტთა ბაზის დემოგრაფიული მონაცემები, მათ შორის მრეწველობის და ქვეყნის დეფოლტის რისკი, სადაც მომხმარებელი მოქმედებს, ნაკლები ზემოქმედება აქვს საკრედიტო რისკზე.

საკრედიტო რისკი მართვა ხდება მომხმარებლის კრედიტუნარიანობის შეფასებით ჯგუფის სტანდარტულ ანგარიშსწორებამდე და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით ზოგადად არ არის მოთხოვნილი დამატებითი უზრუნველყოფა.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას, კლიენტები დაჯგუფებულია მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მიუხედავად იმისა ისინი არიან ფიზიკური თუ იურიდიული პირები, საცალო, საბითუმო ან საბოლოო მომხმარებლები, და ასევე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, დარგის, ხანდაზმულობის პროფილის, წინა ფინანსური სირთულეების არსებობის და გადახდის ვადის მიუხედავად.

მნიშვნელები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, 2015 წ.

ჯგუფი განსაზღვრავს შეღავათს გაუფასურებასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს მის მიერ წარმოშობილი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით. მისი შეღავათის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რაც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაუცველობას. ჯგუფის დებიტორული დავალიანებები ძირითად ადგილობრივი საცალო კლიენტურისგან არის. ჯგუფს არ ჰყავს მნიშვნელოვანი კონცენტრაციის კლიენტები.

გაუფასურების ზარალი

ანგარიშგების დღისთვის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობა შეადგენდა:

2015 ‘000 ლარი	მთლიანი	გაუფასურება	წმინდა
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	15,255	-	15,255
ვადაგადაცილებული, 30 დღემდე	308	(92)	216
ვადაგადაცილებული 30-90 დღით	458	(206)	252
ვადაგადაცილებული 91-180 დღით	572	(418)	154
ვადაგადაცილებული 181-360 დღით	681	(650)	31
ვადაგადაცილებული 365 დღეზე მეტით	12,761	(12,761)	-
	30,035	(14,127)	15,908

2014 ‘000 ლარი	მთლიანი	გაუფასურება	წმინდა
არც ვადაგადაცილებული, არც გაუფასურებული	14,019	-	14,019
ვადაგადაცილებული, 30 დღემდე	309	(93)	216
ვადაგადაცილებული 30-90 დღით	372	(165)	207
ვადაგადაცილებული 91-180 დღით	614	(501)	113
ვადაგადაცილებული 181-360 დღით	1,225	(1,201)	24
ვადაგადაცილებული 365 დღეზე მეტით	10,457	(10,457)	-
	26,996	(12,417)	14,579

დინამიკა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით იყო შემდეგი:

‘000 ლარი	2015	2014
1 იანვრის მდგომარეობით	(12,417)	(10,651)
ცვლილება წლის განმავლობაში	(1,710)	(1,868)
ჩამოწერილი თანხები წლის განმავლობაში, როგორც უიმედო	-	102
31 დეკემბრის მდგომარეობით	(14,127)	(12,417)

გაუფასურების განაკვეთი - 100% - გამოყენებულ იქნა მთლიან სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით საცალო მომხმარებლებისგან 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით, უფრო დაბალი გაუფასურებისგანაკვეთი გამოყენებულ იქნა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულ კატეგორიასთან დაკავშირებით, უფრო მოკლე პერიოდით ვადაგადაცილებით. რეზერვის ანგარიში სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით გამოიყენება გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ ჯგუფი არ ამოწურავს ყოველგვარ შესაძლებლობას ანაზღაურებისთვის; აღნიშნული თვალსაზრისით აღნიშნული თანხები ჩაითვლება დაუბრუნებად თანხებად და ჩამოიწერება უშუალოდ ფინანსური აქტივებიდან.

ისტორიულად შეუსრულებელ განაკვეთებზე დაყრდნობით, ჯგუფს სჯერა, რომ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, არავითარი გადაფასების შეღავათი არ არის აუცილებელი სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, რომელიც არც ვადაგადაცილებულია ან ვადაგადაცილებულია 30 დღემდე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და მისი ექვივალენტები ძირითადად განთავსებულია საქართველოს ბანკებში, რომლის ემიტენტის დეფოლტის მოკლევადიანი რეიტინგი სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით არის - B.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პირობების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად მათი დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის სარისკო შეზღავდვის გარეშე.

აღნიშნული მიზნისთვის ჯგუფი აკეთებს მოკლევადიან პროგნოზებს ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, საოპერაციო საქმიანობების ბუნებიდან გამომდინარე განსაზღვრული შეფასებული ფინანსური საჭიროებების საფუძველზე. როგორც წესი აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია წლიურ და ყოველთვიურ საფუძველზე. ფინანსური საჭიროებების მართვის მიზნით ჯგუფი იღებს ფულად სახსრებს ყოველდღიურად კლიენტებისგან. ეს უზრუნველყოფს, რომ ჯგუფს გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები თავისი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

ტიპიურად ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ აქვს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნისთანავე დააკმაყოფილოს მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯები 30 დღის განმავლობაში, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებები; ეს გამოიწვევს საგანგებო გარემოებების ზემოქმედებას, რომლის წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია, როგორცაა სტიქიური უბედურებები.

გარდა ამისა, ჯგუფს გააჩნია დაახლოებით 217 მილიონი ათასი ლარის ოდენობის გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი სს საქართველოს ბანკში.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო საბოლოო ვადა ანგარიშგების თარიღისთვის. თანხები არის მთლიანი და არადისკონტირებული და მოიცავს შეფასებული პროცენტის გადახდებს და არ მოიცავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებებს.

2015 წლის 31 დეკემბერი

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნით	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	98,553	129,183	-	8,052	17,546	93,577	10,008
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	31,954	31,954	11,383	4,828	14,264	1,479	-
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	20,022	20,022	20,022	-	-	-	-
	150,529	181,159	31,405	12,880	31,810	95,056	10,008

2014 წლის 31 დეკემბერი

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნით	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	83,888	115,057	-	7,253	13,083	69,777	24,944
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	29,758	29,758	17,770	2,561	7,682	1,745	-
	113,646	144,815	17,770	9,814	20,765	71,522	24,944

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომლის შემთხვევაშიც საბაზრო ფასებში, როგორცაა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ღირებულებები, მომხდარი ცვლილებები გავლენას ახდენს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკების მიმართ დაუცველობის მართვა და კონტროლი დადგენილი პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზების გზით.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ძირითადად ექვემდებარება სავალუტო რისკს სესხებზე და შესყიდვებზე, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარში. ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური სავალუტო რისკისადმი იყო შემდეგი:

'000 ლარი	2015 დენომინირებული აშშ დოლარში	2014 დენომინირებული აშშ დოლარში
საბანკო ნაშთები	4,805	109
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2,201	1,661
დაკავშირებული მხარეების დავალიანებები	1,473	64,890
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(20,924)	(14,632)
სესხები და კრედიტები	(90,449)	(74,398)
წმინდა დაქვემდებარება რისკისადმი	(102,894)	(22,370)

წლის განმავლობაში აღინიშნა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსი:

ლარში	საშუალო განაკვეთი		ანგარიშგების დღის სპოტ-კურსი	
	2015	2014	2015	2014
1 აშშ დოლარი	2.2702	1.7659	2.3949	1.8636

მგრძობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, აშშ დოლარის მიმართ 2014 და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე. ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

'000 ლარი	გამყარება		შესუსტება	
	კაპიტალი	მოგება (ან ზარალი)	კაპიტალი	მოგება (ან ზარალი)
2015 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (20% მოძრაობა)	-	17,492	-	17,492
2014 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (20% მოძრაობა)	-	3,803	-	3,803

‘000 ლარი	გამყარება		შესუსტება	
	კაპიტალი	მოგება (ან ზარალი)	კაპიტალი	მოგება (ან ზარალი)
2015 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (20% მოძრაობა)	-	17,492	-	17,492
2014 წლის 31 დეკემბერი				
აშშ დოლარი (20% მოძრაობა)	-	3,803	-	3,803

საპროცენტო განაკვეთის რისკი

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი მნიშვნელოვნად არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მისი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით არის წარმოდგენილი.

სამართლიანი ღირებულების მგრძობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

ჯგუფი არ აგებს პასუხს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მეშვეობით ან გასაყიდად ხელმისაწვდომობის სახით. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებში განხორციელებულ ცვლილებას ანგარიშგების დღისთვის არ ექნებოდა რაიმე გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალში.

18. გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები

(ა) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია ხშირი ცვლილებები კანონმდებლობაში, ნორმატიულ დოკუმენტებში და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის დასრულებიდან როდესაც ასეთი დარღვევა მოხდა ოთხი წელია გასული. ზემოხსენებული გარემოებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ რელევანტური ორგანოები წარმატებით დაასაბუთებენ თავიანთ პოზიციას, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

(ბ) სასამართლო დავები

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი წარმოადგენს სამართალწარმოების, სასამართლო პროცესებისა და დავების მხარეს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული სამართალწარმოებიდან ან სარჩელებიდან წარმოშობილი საბოლოო ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მატერიალურად არახელსაყრელ ეფექტს ფინანსურ მდგომარეობასა თუ სამომავლო ოპერაციების შედეგებზე.

(გ) კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები

2015 წელს ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები სს საქართველოს ბანკთან 20,022 ათასი ლარის ოდენობის ხელმისაწვდომ საკრედიტო ხაზთან დაკავშირებით დაკავშირებული მხარის სამი კომპანიის დავალიანების გარანტიის მიზნით.

20,022 ათასი ლარის თანხა წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომელიც აღიარებული იქნებოდა ანგარიშგების დღეს, თუ გარიგების მხარეები სრულად ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე საერთო შეუსრულებელი საკონტრაქტო ვალდებულებები აუცილებლად არ წარმოადგენს მომავალი ფულადი სახსრების მოთხოვნებს, რადგან ვალდებულება შესაძლოა ამოიწუროს ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობის არანაირი შემთხვევა არ ყოფილა და ხელმძღვანელობა თვლის, რომ რომელიმე მხარის მიერ საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა ნაკლებ სავარაუდოა. აქედან გამომდინარე არანაირი რეზერვი არ იყო აღიარებული აღნიშნულ შეთანხმებებთან დაკავშირებით.

19. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის უშუალო და ძირითად მშობელ კომპანიას წარმოადგენს Rhinestream Holdings Limited. ხოლო კომპანიას საბოლოოდ აკონტროლებს გიორგი რამიშვილი. კომპანიის მშობელი კომპანიის ან საბოლოო მაკონტროლებელი მხარის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებები არ არის წარმოდგენილი.

(ბ) ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

‘000 ლარი	2015	2014
ხელფასები	2,071	1,940
პრემიები	1,851	1,145
	3,922	3,085

(გ) სხვა დაკავშირებული მხარის გარიგებები

‘000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2015	2014	2015	2014
გაცემული სესხები				
მშობელი კომპანია	7,002	-	1,473	64,890
საერთო კონტროლს ქვეშ არსებული საწარმოები	-	17	-	13

მშობელი კომპანიის სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15%-ს და გადასახდელია დარიცხულ პროცენტთან ერთად 2017 წლის 31 დეკემბერს. სესხის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, ჯგუფმა შესაძლოა თავისი გადასახდელი დივიდენდები ჩათვალოს სესხის ნებისმიერ ძირ თანხაში და პროცენტში. 2015 წელს აქციონერისთვის გადასახდელი 96,000 ათასი ლარი (იხილეთ შენიშვნა 14(ა)) ჩაითვალა მშობელი კომპანიის სესხში. 2014 წელს ჩათვლის ოპერაცია არ განხორციელებულა.

2015 წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი 13,000 ათასი ლარი (2014: 6,638 ათასი ლარი) აღიარებული იყო მოგებაში და ზარალში მშობელი კომპანიის სესხთან დაკავშირებით.

ჯგუფის მიდრეკილება საკრედიტო და სავალუტო რისკის მიმართ და მგრძობელობის ანალიზი სასესხო დავალიანებასთან დაკავშირებით მითითებულია მე-17 შენიშვნაში.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები

2015 წელს ჯგუფმა უზრუნველყო დაკავშირებული მხარეების 20,022 მილიონი ლარის დავალიანების გარანტია (იხილეთ შენიშვნა 18(გ)).

20. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	დაფუძნების ქვეყანა	2015 საკუთრება/ზმის მიცემა	2014 საკუთრება/ზმის მიცემა
შპს ქარვა	საქართველო	51%	51%
WiMax Georgia LLC	საქართველო	100%	100%
Georgia Media Network LLC	საქართველო	85%	85%
Novus LLC	საქართველო	100%	100%
NG Georgia	საქართველო	100%	100%

(ა) მნიშვნელოვანი ბიზნეს გაერთიანებები

2014 წლის 30 ივნისს ჯგუფმა შეიძინა 85% საკუთრების წილი შპს Georgia Media Network-ში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ერთ-ერთ IPTV კონტენტის პროვაიდერს, 4,575 ათასი ლარის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. ჯგუფს არ აქვს შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები. ბიზნეს გაერთიანება განხორციელდა IPTV კონტენტის მიწოდებაზე და განვითარებაზე კონტროლის მოპოვების და ვერტიკალური ინტეგრაციის შედეგად ხარჯების დაზოგვის მიზნით.

2015 წლის 27 ნოემბერს ჯგუფმა შეიძინა 100% საკუთრების წილი შპს VTEL Georgia-ში, კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს უსადენო ინტერნეტ მომსახურებებს საქართველოს რეგიონებში, 6,451 ათასი ლარის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. 2015 წლის 4 დეკემბერს შპს VTEL Georgia შეერწყა კომპანიას. ჯგუფს არ აქვს შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები. ბიზნეს გაერთიანება განხორციელდა შპს VTEL Georgia-ს საკუთრებაში არსებული რადიოსიხშირის სპექტრის ლიცენზიებზე კონტროლის მოპოვების მიზნით.

(ი) შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და გათვალისწინებული ვალდებულებები

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია შეძენის თარიღისთვის გათვალისწინებული ვალდებულებების და შეძენილი აქტივების აღიარებული თანხები:

'000 ლარი	აღიარებული სამართლიანი ღირებულებები შეძენისას	
	შპს Georgia Media Network	შპს VTEL Georgia
არამიმდინარე აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,149	1,624
არამატერიალური და სხვა არამიმდინარე აქტივები	2,055	866
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	4,560
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	577	68
ფული და ფულის ექვივალენტები	60	10
არამიმდინარე ვალდებულებები		
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(136)	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები და კრედიტები	(192)	(70)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(2,290)	(816)
სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები	2,223	6,242

სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა

შეძენილი მატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები მითითებულია ქვემოთ:

შეძენილი აქტივები	შეფასების მეთოდი
ძირითადი საშუალებები	<i>ბაზრის შედარების მეთოდი და ღირებულების მეთოდი.</i> შეფასების მოდელი ითვალისწინებს კოტირებულ საბაზრო ფასებს მსგავსი ერთეულებისთვის ხელმისაწვდომობის დროს და ნარჩენ აღდგენით ღირებულებას შესაბამის შემთხვევებში. ნარჩენი აღდგენითი ღირებულება ასახავს შესწორებებს ფიზიკურ ცვეთასთან, ასევე ფუნქციურ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობასთან დაკავშირებით. □
არამატერიალური აქტივები	<i>როიალტისგან გათავისუფლების მეთოდი და წინა პერიოდების ჭარბი შემოსავლების მეთოდი.</i> როიალტისგან გათავისუფლების მეთოდი ითვალისწინებს დისკონტირებულ შეფასებულ როიალტის გადახდებს, რომელიც შესაძლოა თავიდან იქნას აცილებული საკუთრებაში არსებული პატენტების ან სასაქონლო ნიშნების შედეგად. წინა პერიოდების ჭარბი შემოსავლების მეთოდი ითვალისწინებს წმინდა ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას, რომელიც სავარაუდოდ წარმოიშობა კლიენტთან ურთიერთობის შედეგად, საკონტრიბუციო აქტივებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის გარეშე.

შემნილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა კლასიფიცირებულია როგორც დონე 3 სამართლიანი ღირებულება ზემოთ მითითებულ შეფასების მეთოდებში გამოყენებული მონაცემების საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები შემენის თარიღებისთვის მოიცავს კონტრაქტის მხარეების მთლიან საკონტრაქტო თანხებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არ არის მოსალოდნელი, რომ იქნება უიმედო / არა-ინკასირებადი.

(ii) გუდვილი

გუდვილი აღიარებულია შენაძენების შედეგად, შემდეგი სახით:

‘000 ლარი	შპს Georgia Media Network	შპს VTEL Georgia
სულ გადახდილი ანაზღაურება	4,575	6,451
არასაკონტროლო წილები, პროპორციული წილის საფუძველზე შესაძენი აქტივების და ვალდებულებების აღიარებულ თანხებში	333	-
იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება	(2,223)	(6,242)
გუდვილი	2,685	209

გუდვილი შპს VTEL Georgia-ს შეძენასთან დაკავშირებით ძირითადად უკავშირდება ჯგუფის პოტენციურ უნარს გააგრძელოს შემენის თარიღისთვის შპს VTEL Georgia-ს კუთვნილი რადიოსიხშირის სპექტრის ლიცენზიები. გუდვილი შპს Georgia Media Network-თან დაკავშირებით ძირითადად უკავშირდება ერთობლივ ძლისხმევებს და ხარჯების შემცირებას, რომელიც მიიღწევა შემნილი საწარმოს ინტეგრირებით ჯგუფის არსებულ ბიზნესში. არცერთი აღიარებული გუდვილი არ იქნება დაქვითვადი მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

ორივე შენაძენისთვის გადახდილი საერთო ანაზღაურება ძირითადად განხორციელდა ნაღდი ანგარიშსწორებით 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შემენის თარიღიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე შპს Georgia Media Network წმინდა შემოსავალი შეადგენდა 767 ათას ლარს და ზარალი 709 ათას ლარს, ჯგუფისთვის. შპს VTEL Georgia-ს არ შეუტანია არსებითი წმინდა შემოსავალი ან მოგება ჯგუფში შემენის თარიღიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე. თუ შპს VTEL Georgia-ს და შპს Georgia Media Network-ის შემენა მოხდა 2015 წლის 1 იანვარს და 2014 წლის 1 იანვარს, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ კონსოლიდირებულ შემოსავალზე და კონსოლიდირებულ მოგებაზე შესაბამისი წლის განმავლობაში ზემოქმედება არ განხორციელდებოდა 1%-ზე და 5%-ზე მეტი მოცულობით. ხელმძღვანელობა შეფასებას აფუძნებს იმ დაშვებაზე, რომ სამართლიანი ღირებულების შესწორებები, რომელიც წარმოიქმნა შემენის თარიღებში, არ იქნებოდა ზემოაღნიშნული, თუ შემენა მოხდა შემენის წლის პირველ დღეს.

21. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების გარდა, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღებისთვის.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება თანმიმდევრულად წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში და უწყვეტად ხორციელდება ჯგუფში შემავალი საწარმოების მიერ.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) ბიზნესის გაერთიანებები

ბიზნესის გაერთიანებები აღირიცხება შეძენის მეთოდის გამოყენებით შეძენის თარიღისთვის, იმ დღეს, როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შეძენის თარიღისთვის:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით; პლუს
- შესაძენ საწარმოში ნებისმიერი არასაკონტროლო წილის აღიარებული თანხით; პლუს
- თუ ბიზნესის გაერთიანებები ხორციელდება ეტაპობრივად, შენაძენში მანამდე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულებით; მინუს
- შეძენილი იდენტიფიცირებადია ქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხით (ზოგადად სამართლიანი ღირებულება).

როდესაც სხვაობა არის უარყოფითი, მოგება მომგებიანი შესყიდვიდან დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში და ზარალში. გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს მანამდე არსებული ურთიერთობების ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ თანხებს. ასეთი თანხები ზოგადად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. გარიგების ხარჯები სავალო ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გაწევს ბიზნესის გაერთიანებასთან დაკავშირებით, აისახება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გაწეულ იქნა.

ნებისმიერი გადასახდელი პირობითი ანაზღაურება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის. თუ პირობითი ანაზღაურება კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მათი გადაფასება არ ხდება და გადახდა აღირიცხება კაპიტალში. სხვაგვარად, შემდგომი ცვლილებები პირობითი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებაში აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

(ii) არასაკონტროლო წილი

არასაკონტროლო წილი განისაზღვრება შემძენის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილით შეძენის თარიღისთვის. ცვლილებები ჯგუფის წილში შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აისახება წილობრივი მონაწილეობის გარიგების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს მაშინ, როდესაც იგი დაუცველია ან უფლება აქვს მიიღოს შემოსავლები საწარმოს საქმიანობაში მისი ჩარევიდან და გააჩნია აღნიშნულ შემოსავლებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა საწარმოზე მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა მაშინ, როდესაც აუცილებელი გახდა მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა ჯგუფის მიერ მიღებულ პროცედურებთან. შვილობილ კომპანიაში არასაკონტროლო წილთან დაკავშირებული ზარალი ნაწილდება არასაკონტროლო წილებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გამოიწვევს არასაკონტროლო წილის უარყოფით ნაშთს.

(iv) კონსოლიდაციისას გაუქმებული გარიგებები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ასევე ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციებიდან, გაუქმდება.

(ბ) შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებების გაწევას ხელშეკრულების თანახმად. შემოსავლის ოდენობა შესაძლებელია განისაზღვროს საიმედოდ და სავარაუდოდ მოხდება ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვების გადასახადებისა და ფასდაკლებების გამოკლებით. შემოსავლები აღნიშნული მომსახურებებიდან, რომელიც დამოკიდებულია ასეთი მომსახურების ბუნებაზე, აღიარებულია მთლიანი თანხით, რომელიც გამოწერილია კლიენტისთვის ან ჯგუფის მიერ მისაღები თანხით მომსახურების ხელშეწყობის საკომისიოს სახით.

ჯგუფს აქვს შემდეგი მთავარი შემოსავლის ნაკადები: ინტერნეტი და ინტერნეტ ტელევიზიის (IPTV) მომსახურებები, ფიქსირებული ხაზის და უსადენო სატელეფონო მომსახურებები, რომელიც ძირითადად მოიცავს მიერთების, საეთერო დროის გამოყენების და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადებს, ურთიერთკავშირების მომსახურებები და ხაზების იჯარას. შემოსავალი აღიარებულია მომსახურების ფასდაკლებების შესწორებების და კრედიტების, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადების გარეშე.

ურთიერთკავშირების მომსახურებები: წვდომის გადასახადები ურთიერთკავშირის მომსახურებებზე მიიღება სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორებისგან ტრაფიკისთვის, რომელიც შეწყდა ჯგუფის ქსელზე ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც ასევე არეგულირებს ჯგუფის მიერ სხვა ოპერატორების ქსელების გამოყენებას. შემოსავლები ურთიერთკავშირის მოსაკრებლებიდან აღიარებულია მომსახურებების შესრულების დროს.

ინტერნეტი და ინტერნეტ ტელევიზიის მომსახურებები: შემოსავლები ინტერნეტიდან და IPTV უზრუნველყოფიდან ძირითადად მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადს ინტერნეტ კავშირის და IPTV მომსახურებების გამოყენებისთვის და აღიარებულია მომსახურებების შესრულების დროს.

ფიქსირებული ხაზის და უსადენო სატელეფონო მომსახურებები: შემოსავლები საეთერო დროის გამოყენებასთან და ურთიერთკავშირის მოსაკრებლებთან დაკავშირებით საკონტრაქტო კლიენტებისგან, აღიარებულია შემოსავლად მომსახურებების შესრულების დროს, გამოყენების წუთების და საკონტრაქტო მოსაკრებლების საფუძველზე, გამოუწერელ შემოსავლებთან ერთად უკვე გაწეული მომსახურებებიდან, რომელიც ირიცხება თითოეული თვის ბოლოს და მომავალი პერიოდის შემოსავლებთან ერთად, მომავალში გასაწევი მომსახურებებიდან. ყოველთვიური სააბონენტო მოსაკრებელი აღიარებულია შემოსავლად იმ თვეში, როდესაც მომსახურებები გაეწევა აბონენტს.

ხაზების იჯარა: შემოსავლები ხაზების იჯარიდან მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადებს ჯგუფის საკაბელო ქსელის გამოყენებისთვის. შემოსავლები აღიარებულია მომსახურებების შესრულების დროს.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ სარგებელს ან ზარალს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ხარჯი, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებული იქნება ეფექტური პროცენტის გამოთვლის მეთოდთან გამოყენებულ მოგებასა თუ ზარალში.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის მდგომარეობაში.

(დ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ტრანზაქციები კონვერტირდება ჯგუფის საწარმოების შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს დადგენილი ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს, რომელიც მორგებულია არსებულ პროცენტზე და პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ანგარიშსწორებებზე, და უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ხარჯს შორის, რომელიც კონვერტირდება ანგარიშგების პერიოდის დასასრულს არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

(ე) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადი აღიარებულია შემოსავალში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში უშუალოდ აღიარებულ ობიექტებთან. მიმდინარე

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა შესაბამისი წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, დადგენილ ან არსებითად დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის, ასევე საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებული წინა წლებთან.

(ii) გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი ასახულია ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებისა და გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების გათვალისწინებით. გადავადებული გადასახადი არ ექვემდებარება აღიარებას:

- დროებითი სხვაობების შემთხვევაში იმ გარიგებების აქტივების ან ვალდებულებების პირველადი აღიარების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნეს კომბინაციას და რომელიც გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალზე.
- დროებითი სხვაობების შემთხვევაში ინვესტიციებთან დაკავშირებით შვილობილ კომპანიებში, მოკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საქმიანობებში იმ მოცულობით, რომ ჯგუფი შეძლებს დროებითი სხვაობების რევერსირების დროის კონტროლს და შესაძლებელი იქნება, რომ ისინი არ იქნას რევერსირებული პროგნოზირებად მომავალში; და
- დაბეგვრადი დროებითი სხვაობები წამროიქმნება გუდვილის თავდაპირველი აღიარებისას.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია გამოყენებულ იქნას იმ დროებით სხვაობებზე, როდესაც მოხდა მათი რევერსირება, ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. გადავადებული გადასახადის განგარიშება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომელთა განხორციელებაც ხდება ჯგუფის მიერ ნავარაუდები წესის დაცვით, ანგარიშგების პერიოდის დასასრულს, რათა აანაზღაუროს ან უზრუნველყოს მისი აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ანგარიშსწორება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვის კანონიერი უფლება და ისინი დაკავშირებულნი არიან საშემოსავლო გადასახადთან, რომელიც განსაზღვრულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იგივე დაბეგრულ საწარმოზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოყენებულ საგადასახადო ზარალთან, საგადასახადო კრედიტებსა და დასაქვით დროებით სხვაობებთან დაკავშირებით იმ მოცულობით, რათა სამომავლოდ დასაბეგრი სარგებელი ხელმისაწვდომი იყოს გამოსაყენებლად. გადავადებული საგადასახადო აქტივები ექვემდებარება გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების რეალიზების ალბათობა.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების განსაზღვრისას, ჯგუფი მხედველობაში ღებულობს გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობის გავლენას და დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და ვადაგადაცილებული ანგარიშსწორების შედეგად დარიცხული პროცენტის შესაძლო დაკისრების ფაქტს. ჯგუფს სჯერა, რომ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები შეესაბამება ყველა ღია საგადასახადო წელიწადს მის მიერ უამრავი ფაქტორის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობისა და მანამდე არსებული გამოცდილების, ინტერპრეტაციის საფუძველზე. აღნიშნული შეფასება ემყარება გამოთვლებსა და ვარაუდებს და შესაძლებელია ითვალისწინებდეს რიგ მოსაზრებებს სამომავლო შემთხვევებთან დაკავშირებით. შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ახალი ინფორმაცია, რაც გამოიწვევს ჯგუფის მიერ მისი მოსაზრების შეცვლას არსებული საგადასახადო ვალდებულებების შესაბამისობის შესახებ; აღნიშნული ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში გავლენას მოახდენს საგადასახადო ხარჯებზე იმ პერიოდში, როდესაც გაკეთდება მოცემული განსაზღვრება.

(ვ) მატერიალურ-საწარმოო მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და გაყიდვის დანახარჯები.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება აკუმულირებულ ცვეთასა და აკუმულირებულ გაუფასურებაზე ნაკლები ღირებულებით. მიწა აღირიცხება თვითღირებულებით, მინუს აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

ღირებულება მოიცავს აქტივების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი სახსრებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებასა და პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან, მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით, ასევე ობიექტის დემონტაჟთან, გატანასა და სამუშაოების წარმოების ადგილის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს და კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების, რომლებიც შესაბამისი მოწყობილობის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია, კაპიტალიზაცია ხორციელდება ამ მოწყობილობის შემადგენელი ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტის შემადგენელი ნაწილები შეიცავს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადის მქონე კომპონენტებს, მათი აღრიცხვა ხორციელდება ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტების (ძირითადი კომპონენტების) სახით.

ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება სხვაობით გაყიდვიდან მიღებულ სარგებელსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებული იქნება წმინდა ღირებულებად სხვა შემოსავლის/სხვა გასავლის ფარგლებში მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ობიექტის კომპონენტების შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ჯგუფის მიმართ და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება არ იქნება აღიარებული. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ღირებულება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, გაღებული ხარჯების სახით.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი დამონტაჟებისა და საექსპლუატაციო მზადყოფნის დღიდან, ხოლო შიდა კონსტრუირებული აქტივების შემთხვევაში, აღნიშნული აქტივების დასრულებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა განისაზღვრება აქტივის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების კომპონენტების ყოველი ნაწილის საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. საიჯარო აქტივების ცვეთა ხორციელდება უფრო მოკლე საიჯარო ვადაში და ვარგისიანობის ვადაში, თუ დასაბუთებულად განსაზღვრული არ არის, რომ ჯგუფი მოიპოვებს საკუთრების უფლებას საიჯარო ვადის დასასრულს. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- შენობა-ნაგებობები 25-30 წელი
- მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები, აღჭურვილობა და ინვენტარი 3-5 წელი

ცვეთის მეთოდები, საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

(თ) არამატერიალური აქტივები

(i) გუდვილი

გუდვილი, რომელიც წარმოიქმნება შვილობილი კომპანიების შეძენის შედეგად, აღირიცხება თვითღირებულებით მიწუს აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომელსაც აქვს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა, აღირიცხება თვითღირებულებით მინუს დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საქმიანობის ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს და მაუწყებლობის უფლებებს.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ზრდის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს კონკრეტულ აქტივში, რომელსაც ის უკავშირდება. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის დანახარჯები შიდა ფარგლებში წარმოქმნილ გუდვილსა და ბრენდზე, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, მათი გაღების დროს.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მინუს შეფასებული ნარჩენი ღირებულება. ამორტიზაცია ზოგადად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საშუალებით, არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვარგისიანობის ვადის შეფასების საფუძველზე, გუდვილსი გარდა, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია გასაყიდად, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს. არამატერიალური აქტივების ვარგისიანობის ვადა მიმდინარე და შედარებით პერიოდებში მერყეობს 3-დან 10 წლამდე. ამორტიზაციის მეთოდები, ვარგისიანობის ვადები და ნარჩენი ღირებულება განიხილება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და შესწორებულია შესაბამისად.

(v) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და დებიტორულ დავალიანებებს, ფულს და ფულის ქვივალენტებს, სესხებს და კრედიტებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები – აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი პირველად აღიარებს სესხებსა და დებიტორულ დავალიანებებს, მათი წარმოშობის დღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარება ხდება პირველად მათი ვაჭრობის დღისთვის, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ აქტივებს მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლებები ფულად ნაკადებზე აქტივიდან, ან იგი გადასცემს ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით ამა თუ იმ გარიგებაში, რომელშიც ადგილი აქვს ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკისა და ანაზღაურების გადაცემას. ყოველგვარი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც იქმნება ან იწარმოება ჯგუფის მიერ, აღიარებულია ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ექვემდებარება ანაზღაურებას და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებულ სუფთა თანხას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია თანხების ანაზღაურების სამართლებრივი უფლება და სურს მოახდინოს ანგარიშსწორება სუფთა სახით ან უზრუნველყოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების ანგარიშსწორება ერთდროულად.

სესხები და დებიტორული დავალიანებები

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან განსაზღვრული ანგარიშსწორების მქონე ფინანსური აქტივების კატეგორიას, რომლებიც არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული აქტივების პირველადი აღიარება ხდება მისი რეალური ღირებულებით პლუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულებით. შემდგომში თავდაპირველად აღიარებული სესხები და დებიტორული დავალიანებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აღნიშნულს გამოკლებული გაუფასურების შედეგად წარმოშობილი დანაკარგი.

სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სესხები და მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები და ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საბანკო ბალანსებისგან, რომელთა ანგარიშსწორების ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს მათი შექმნის დღიდან, რაც ექვემდებარება მათ სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების განხორციელების მნიშვნელოვან რისკს.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

ჯგუფი ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მინუს ნებისმიერი უშუალოდ მიწერილი ტრანზაქციის ღირებულება. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულების მიხედვით მოქმედი საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი არ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას, როდესაც მისი საკონტრაქტო ვალდებულებები შესრულდება ან გაუქმდება ან ამოიწურება.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, და სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს.

(iii) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციების კლასიფიკაცია ხდება კაპიტალის სახით. ჩვეულებრივი აქციებისა და სააქციო ოფციონების გამოშვებასთან უშუალოდ დაკავშირებული დამატებითი ხარჯების აღიარება ხდება კაპიტალიდან ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის წმინდა ღირებულებიდან დაქვითვის სახით.

(კ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ფინანსური აქტივების გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგს:

- დებიტორის გაკოტრება ან დარღვევა;
- ჯგუფის მიმართ გადასახდელი თანხის რესტრუქტურისა და იმ პირობებით, რომლის სხვაგვარად განხილვა ჯგუფს არ შეუძლია;
- მინიშნება, რომ დებიტორი გამოცხადდება გაკოტრებულად;
- დეფოლტთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

ჯგუფი განიხილავს აქტივებთან დაკავშირებულ გაუფასურების მტკიცებულებას, როგორც კონკრეტული აქტივის, ასევე აქტივების ერთობლიობის დონეზე. ყოველი ინდივიდუალური მნიშვნელოვანი აქტივი შეფასდება კონკრეტულ გაუფასურებასთან დაკავშირებით. ყველა აქტივი, რომელიც არ ჩაითვლება გაუფასურებულად, შეფასდება ერთობლივად ნებისმიერი სახის გაუფასურებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა, მაგრამ არ არის ჯერ დადგენილი. ის აქტივები, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი, შეფასდება ერთობლივად გაუფასურებასთან დაკავშირებით მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ერთად დაჯგუფების გზით.

ერთობლივი გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი იყენებს დეფოლტის ალბათობის, ხარვეზების აღმოფხვრის დროისა და გაწეული ზარალის ისტორიულ ტენდენციებს, რაც მორგებულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები იმ სახის, რომ ფაქტიური ზარალი აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს წარმოდგენილ ისტორიულ ტენდენციებზე.

გაუფასურების ზარალი გამოითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება შეფასებული რეზერვის ანგარიშში დებიტორული დავალიანებების მიმართ. როდესაც ჯგუფი თვლის, რომ არ არსებობს აქტივის დაბრუნების რეალური პერსპექტივა, რელევანტური თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე დარიცხული პროცენტი კვლავ იქნება აღიარებული დისკონტის ამორტიზაციით. როდესაც შემდგომი შემთხვევა გამოიწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის თანხის შემცირებას, და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, შემცირება გაუფასურების ზარალში რევერსირდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, საბალანსო ღირებულება განიხილება თითოეულ საანგარიშო დღეს გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება. გუდვილთან დაკავშირებით ჩანაცვლების თანხა ფასდება თითოეულ წელს ერთდროულად.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, აქტივები, რომელთა შემოწმება ინდივიდუალურად შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებში, რომელიც ქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენებიდან, რომელიც ძირითადად არ არის დამოკიდებული ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ან სხვა აქტივების ფულად ნაკადებზე. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ახდენს ფულადი სახსრების ცალკე მოდინების გენერირებას და გამოყენებულია ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილდება CGU-ზე დასაბუთებულ საფუძველზე და შემოწმდება გაუფასურებაზე CGU-ს შემოწმების ფარგლებში, რომელზეც განაწილდა კორპორატიული აქტივი. ბიზნესის გაერთიანებაში შექმნილი გუდვილი ნაწილდება CGU-ს ჯგუფებზე, რომელიც მოსალოდნელ სარგებელს მიიღებს გაერთიანების შედეგად.

აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება წარმოადგენს მისი სამომხმარებლო ღირებულებიდან და სამართლიანი ღირებულებებიდან უდიდესს, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. სამომხმარებლო ღირებულების შეფასებისას ხორციელდება ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს მოცემული აქტივისათვის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის (CGU) დამახასიათებელი ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის საბალანსო ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ჩანაცვლების ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად ნაწილდება ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულების შემცირების და შემდეგ ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულში სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებების შემცირების მიზნით პროპორციულ საფუძველზე.

გუდვილთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის რევერსირება არ ხდება. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია წინა პერიოდებში, შეფასებულია თითოეულ ანგარიშგების დღეს ნებისმიერი მითითებისთვის, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი რევერსირდება იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ცვლილება ანაზღაურებადი თანხის განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებაში. გაუფასურების ზარალი რევერსირდება მხოლოდ იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ არანაირი გაუფასურების ზარალი არ იქნება აღიარებული.

(ლ) კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები

ჯგუფი თვლის, რომ ჯგუფის მიერ სხვა მხარეების დავალიანების გარანტიისთვის გაფორმებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებებს და ითვალისწინებს მათ შესაბამისი სახით. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯგუფი საგარანტიო კონტრაქტებს განიხილავს პირობით ვალდებულებად იქამდე, სანამ შესაძლებელი გახდება, რომ ჯგუფს მოეთხოვოს გარანტიით გათვალისწინებული გადახდების განხორციელება.

(მ) იჯარები

(i) იმის განსაზღვრა ითვალისწინებს თუ არა ხელშეკრულება იჯარას.

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი განსაზღვრავს ითვალისწინებს თუ არა ხელშეკრულება იჯარას. ეს ეხება იმ შემთხვევას, თუ ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის გამოყენებას და ხელშეკრულება ითვალისწინებს აქტივის გამოყენების უფლების გადაცემას.

IRU (“გამოყენების ხელშეუვალი უფლება”) ხელშეკრულებები არ კლასიფიცირდება იჯარებად. კონკრეტული მუქი ოპტიკური ბოჭკოს გაყიდვებთან და IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებით 20 წლიანი მოქმედების ვადით, თუ ქსელის ტექნიკური მომსახურების ვალდებულება და დაბრუნების დაკავშირებული რისკი რჩება ჯგუფში კონტრაქტის მოქმედების პერიოდში, ჯგუფი მომწოდებლებისგან მიღებულ საავანსო გადახდებს აღიარებს მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე კონტრაქტის მოქმედების ვადაში.

(ii) იჯარით გაცემული აქტივები

ჯგუფის იჯარით ფლობილი აქტივები, რომელიც ჯგუფს გადასცემს არსებითად ყველა რისკს და საკუთრებასთან დაკავშირებულ უპირატესობას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად. ყველა იჯარა არის საოპერაციო იჯარები და იჯარით გაცემული აქტივები არ არის ჩამოწერილი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან. საოპერაციო იჯარების შესაბამისად განხორციელებული გადახდები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის მოქმედების ვადაში.

23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში

არსებობს ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოიყენება აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფი გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე:

- 2014 წლის ივლისს გამოქვეყნებული ფასს 9 ცვლის არსებულ სახელმძღვანელო მითითებებს ბასს 39-ში *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ფასს 9 მოიცავს განახლებულ სახელმძღვანელო მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაზე, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოსაანგარიშებლად და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგადი მოთხოვნები. აღნიშნული სტანდარტი ასევე ძალაში ტოვებს ბასს 39-იდან სახელმძღვანელო მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებაზე და აღიარების შეწყვეტაზე. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფი აფასებს ფასს 9-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის მოხდა მისი აღიარება. სტანდარტი ცვლის არსებულ სახელმძღვანელო მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18: *შემოსავალი*, ბასს 11: *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ფაისკ 13: *კლიენტების ლოიალურობის პროგრამები*. ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ითვალისწინებს, რომ საწარმო აღიარებს შემოსავალს მომხმარებლებისთვის შეპირებული საქონლის ან მომსახურებების გადაცემის ასახვის მიზნით, იმ ოდენობით, რომელზეც უფლებამოსილება ექნება საწარმოს აღნიშნული საქონლის ან მომსახურებებისთვის. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს მეტ ინფორმაციას შემოსავლების შესახებ,

სახელმძღვანელო მითითებებს იმ გარიგებებზე, რომლებიც მანამდე არ იყო სრულად განსაზღვრული და აუმჯობესებს სახელმძღვანელო მითითებას მრავალ-ელემენტური შეთანხმებებზე. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ვადამდე მიღების უფლებით. ჯგუფი აფასებს ფასს 15-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 16. ცვლის არსებულ იჯარის აღრიცხვის სახელმძღვანელოს ბასს 17-ში: იჯარები, ფასს 4: *განსაზღვრა მოიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას*, SIC-15: *საოპერაციო იჯარები – სტიმულები* და SIC-27: *იჯარის იურიდიული ფორმის მომცველი გარიგებების არსის შეფასება*. ეს აღმოფხვრის მოქმედ ორმაგი აღრიცხვის მოდელს მოიჯარეებისთვის, რომელიც განსხვავდება საბალანსო ფინანსური იჯარებს და ბალანს გარეშე საოპერაციო იჯარებს შორის. სანაცვლოდ, წარმოდგენილია ერთი საბალანსო სააღრიცხვო მოდელი, რომელიც მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურია. მეიჯარის აღრიცხვა მოქმედი პრაქტიკის ანალოგიური რჩება – ე.ი. მეიჯარე აგრძელებს იჯარების კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 ძალაშია წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომლის ათვლა იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ვადამდე მიღება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ფასს 15: *შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან ასევე მიღებულია*. ჯგუფი აფასებს ფასს 16-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

24. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2016 წელს ჯგუფმა გამოაცხადა 4,654 ათასი ლარის დივიდენდები, გამოცხადებული დივიდენდებიდან 1,530 ათასი ლარის დივიდენდები ჩაითვალა მშობელი კომპანიის დავალიანებაში (იხილეთ შენიშვნა 19(გ)).

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე და საბოლოო წაკითხვით მიიღო კანონპროექტი კორპორატიული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე წოდებული კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების გამომუშავებიდან გადაანაცვლებს მათი განაწილების მომენტისთვის. აღნიშნული კანონი ძალაში შევა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდება იმ ფორმით, როგორც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და ძალაში იქნება საგადასახადო პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა საწარმოსთვის ფინანსური დაწესებულებების გარდა (როგორცაა სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ამ კანონმდებლობის შემოღება მწმენელოვან გავლენას მოახდენს საქართველოში მოქმედი საწარმოების მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებზე. კორპორატიული დაბეგვრის ახალი სისტემა არ ვრცელდება იმ ორგანიზაციებზე, რომელთა მიზანი არ არის მოგების მიღება.

2016 წლის 15 ივლისს შეიცვალა კომპანიის წესდება. ცვლილებები მოიცავდა შეზღუდვებს დივიდენდის განაწილებაზე და გარიგებებზე დაკავშირებულ მხარეებთან. ახალი წესდების შესაბამისად, ნებისმიერი ფინანსური წლის განმავლობაში გამოცხადებული მთლიანი დივიდენდები შეიზღუდება წინა ორი ფინანსური წლების კონსოლიდირებული წმინდა მოგების 70%-მდე, მინუს აღნიშნული წინა ორი ფინანსური წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები. წესდება ასევე ითვალისწინებს მკაცრ რეგულაციებს დაკავშირებული მხარის გარიგებების შესაბამისობას თანაბარუფლებიანობის პრინციპთან.